საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 5 2022 წლის 17 იანვარი ქ. თბილისი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გამოცხადდეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის შესარჩევი კონკურსი;

2. კონკურსში მონაწილეობის პირობების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს საჯაროდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ, მისთვის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის კანდიდატურების წარდგენის ვადისა და წესის განსაზღვრის შემდეგ.

ირაკლი ღარიბაშვილი